სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან

საქართველოს მთავარი პროკურატურა

სარჩევი

შ ე ს ა ვ ა ლ ი 2

1. გამოძიების დაწყება 3

1.1. გამოძიების დაწყება პროკურატურის რეგიონული დანაყოფების მიხედვით 4

1.2. გამოძიების დაწყება თვეების მიხედვით 5

1.3. შეტყობინების ავტორები 6

2. დანაშაულის გარემოებები 7

2.1. დანაშაულის ჩადენის ადგილი 7

2.2. დანაშაულის ჩადენის დრო 12

2.3. დანაშაულის მოტივი 13

2.4. კავშირი დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის 14

2.5. სქესობრივი კავშირის ფორმა 15

2.6. წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწევლობა 16

3. დაზარალებულები 17

3.1. დაზარალებულთა სქესი 18

3.2. დაზარალებულთა ასაკი 18

3.3. დაზარალებულთა ეროვნება 19

3.4. დაზარალებულთა პოზიცია 20

4. ბრალდებულები 20

4.1. ბრალდებულთა სქესი 20

4.2. ბრალდებულთა ასაკი 21

4.3. ბრალდებულთა ეროვნება 22

4.4. ბრალდებულთა განათლება 23

4.5. ბრალდებულთა დასაქმება 23

4.6. ბრალდებულთა ოჯახური მდგომარეობა 24

4.7. ბრალდებულთა ნასამართლობა 24

4.8. ბრალდებულად ცნობა 25

4.9. აღკვეთის ღონისძიებები 26

4.10. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება 26

4.11. სასჯელები 27

5. გამოძიების შეწყვეტა 28

დასკვნა 29

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად, დასჯადია სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან.

საქართველოს ზოგიერთ რეგიონში განსაკუთრებით აქტუალურია 16 წლამდე ასაკის ქალთა ცოლად მოყვანის პრობლემა, რაც თავისთავად ქმნის სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას და იმ პირთა მიმართ დევნის დაწყების საფუძველს, რომლებმაც ოჯახი შექმნეს 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან და ამ მიზნით დაამყარეს მასთან სქესობრივი კავშირი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1108-ე მუხლის თანახმად კი ქორწინება დასაშვებია 18 წლის ასაკიდან.

სქესობრივი დანაშაულის, კერძოდ თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირებთან ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირის ეფექტური პრევენციის, გამოძიების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და პროკურორებისთვის სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავების საჭიროების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს მთავარი პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებში საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ შესწავლილი იქნა 2015 წლის პერიოდში მთელი ქვეყნის მასშტაბით სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გამოძიებადაწყებული 189 სისხლის სამართლის საქმე.

საქმეთა შესწავლა განხორციელდა ორი ძირითადი მიმართულებით:

- **კრიმინოლოგიური ნაწილი,** რომლის ფარგლებშიც დადგინდა დანაშაულის შესახებ შეტყობინების ავტორები, დანაშაულის ჩადენის ადგილი, გარემოებები, დამოკიდებულება დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის, აგრეთვე, დაზარალებულთა და ბრალდებულთა პერსონალური მახასიათებლები;

- **გამოძიების ეფექტურობა,** რომლის ფარგლებშიც დადგინდა, რამდენად დროულია ფაქტებზე რეაგირება, რამდენად ადეკვატური და ეფექტურია ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, როგორია დაზარალებულ პირთა პოზიცია დევნის დაწყების/გამოძიების შეწყვეტის თაობაზე, სწორად ხდება თუ არა შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღება საქმეზე.

შესწავლის შედეგად გამოვლინდა როგორც საერთო, ისე რეგიონისთვის და რაიონისთვის დამახასიათებელი ცალკეული ტენდენციები.

1. გამოძიების დაწყება

2015 წლის საანგარიშო პერიოდში, სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოძიება დაიწყო სულ 183 საქმეზე, მათ შორის 11[1],140-ით - 40 საქმეზე; ხოლო სხვა კვალიფიკაციით დაიწყო გამოძიება 6 საქმეზე, რომლებზეც გამოძიების მიმდინარეობისას შეიცვალა კვალიფიკაცია 140-ე მუხლით ან დაემატა კვალიფიკაცია, კერძოდ:

108-ე მუხლით გამოძიება დაიწყო - 1 საქმეზე (რომელზეც მოგვიანებით დევნა დაიწყო სსკ-ის 108-ე და 140-ე მუხლებით);

117-ე მუხლით - 1 საქმეზე;

141-ე მუხლით - 1 საქმეზე;

125-ე მუხლით - 1 საქმეზე;

137-ე მუხლით - 1 საქმეზე;

362-ე მუხლით - 1 საქმეზე.

ამდენად, სსკ-ის 140-ე მუხლით გამოძიება მიმდინარეობდა სულ 189 საქმეზე.

გამოძიების დაწყება კვალიფიკაციის მიხედვით



აღნიშნული 189 საქმიდან 28 საქმეზე შეწყდა გამოძიება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის საფუძვლით, ხოლო 4 საქმეზე - სხვა საფუძვლებით.[1]

1.1.გამოძიების დაწყება პროკურატურის რეგიონული დანაყოფების მიხედვით

საანგარიშო პერიოდში სსკ-ის 140-ე მუხლით გამოძიება დაიწყო/მიმდინარეობდა **თბილისის პროკურატურასა და თბილისის რაიონულ პროკურატურებში** - სულ 7 საქმეზე.

ქვემო ქართლის საოლქო და რაიონულ პროკურატურებში - 67 საქმეზე;

კახეთის საოლქო და რაიონულ პროკურატურებში - 29 საქმეზე;

დასავლეთ საქართველოს საოლქო და რაიონულ პროკურატურებში - 27 საქმეზე;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურასა და რაიონულ პროკურატურებში - 24 საქმეზე;

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო და რაიონულ პროკურატურებში - 21 საქმეზე;

შიდა ქართლის საოლქო და რაიონულ პროკურატურებში - 12 საქმეზე;

სამცხე-ჯავახეთის საოლქო და რაიონულ პროკურატურებში - 2 საქმეზე.

გამოძიების დაწყება პროკურატურების მიხედვით



[1] დეტალურად იხ.გვ. 30

1.2.გამოძიების დაწყება თვეების მიხედვით

2015 წლის პირველ ნახევართან შედარებით, **მეორე ნახევარში შეინიშნებოდა სსკ-ის 140-ე მუხლით გამოძიების დაწყების მატების ტენდენცია,** რაც განპირობებული იყო 2015 წლის მეორე ნახევარში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან სამართალდამცავ ორგანოებში შესული შეტყობინებების რიცხვის მნიშვნელოვნად მომატებით, სადაც, თავის მხრივ, შეტყობინება შედის სამშობიარო დაწესებულებიდან არასრულწლოვანი დედის მშობიარობასთან დაკავშირებით.

თვეების მიხედვით გამოძიების დაწყების რიცხვი შემდეგია: იანვარი - 2 საქმე, თებერვალი - 5, მარტი - 4, აპრილი - 3, მაისი - 6, ივნისი - 10, ივლისი - 7, აგვისტო - 24, სექტემბერი - 25, ოქტომბერი - 29, ნოემბერი - 38, დეკემბერი - 36 საქმე.



1.3.შეტყობინების ავტორები

საკითხის შესწავლის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ ვისგან ხდება მეტწილად ცნობილი სამართალდამცავებისათვის ფაქტის თაობაზე. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ფაქტების დიდი ნაწილის შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის ცნობილი ხდება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან. შეტყობინების ავტორები ფაქტებზე შემდეგნაირად ნაწილდება:

125 შემთხვევაში შეტყობინების ავტორი არის სამოქალაქო რეესტრის სააგენტო; 20 ფაქტზე - ოჯახის წევრი; 15 ფაქტზე - სამედიცინო დაწესებულება; 6 ფაქტზე - თავად დაზარალებული; 2 ფაქტზე - ახლობელი; 21 ფაქტზე - სხვა პირები.



2.დანაშაულის გარემოებები[2]

ანალიზის მიზნებისათვის გამოძიებადაწყებული 189 საქმიდან მოცემულ თავში მითითებული **პარამეტრებით შესწავლილი იქნა 161 საქმე (163 ფაქტი),** რომელთა რიცხვშიც არ შედის დანაშაულის არარსებობის გამო გამოძიებაშეწყვეტილი საქმეები.

დანაშაულის პრევენციის, სწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განსაზღვრის და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმების შემუშავების მიზნით, შერჩეული ფაქტების შესწავლა განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პარამეტრის მიხედვით.

2.1.დანაშაულის ჩადენის ადგილი

შესწავლილი საქმეების მიხედვით, **2015 წლის განმავლობაში დედაქალაქში** მომხდარია სულ **8 ფაქტი.**

ფაქტების ყველაზე დიდი ნაწილი **50 ფაქტი** მომხდარია **ქვემო ქართლის** რეგიონში, კერძოდ: მარნეული - 21, გარდაბანი - 14, წალკა - 5, დმანისი - 4, ბოლნისი - 4, რუსთავი - 2;



[2] მოცემულ რაოდენობებში შედის ყველა ფაქტი, რომელზეც დაიწყო გამოძიება ანალიზში მითითებული კვალიფიკაციებით, გარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შეწყვეტილი საქმეებისა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 26 ფაქტი, კერძოდ: ხულო - 6, ოზურგეთი - 5, ლანჩხუთი - 4, ქედა - 3, ხელვაჩაური - 3, ბათუმი - 3, ქობულეთი - 2;



კახეთი - 24 ფაქტი, კერძოდ: ლაგოდეხი - 9, საგარეჯო - 6, გურჯაანი - 3, სიღნაღი - 2, ახმეტა - 2, დედოფლისწყარო - 1, თელავი -1;



დასავლეთ საქართველო - 22 ფაქტი, კერძოდ: სამტრედია - 4, თერჯოლა - 4, წყალტუბო - 3, ქუთაისი - 3, ზესტაფონი - 2, ვანი - 2, ტყიბული - 1, ხარაგაული - 1, ხონი -1, ჭიათურა -1;



სამეგრელო-ზემო სვანეთი - 16 ფაქტი, კერძოდ: სენაკი - 7, ზუგდიდი - 4, ფოთი - 2, აბაშა - 1, მარტვილი - 1, ხობი -1;



შიდა ქართლი - 12 ფაქტი, კერძოდ: გორი - 5, დუშეთი - 4, მცხეთა - 1, კასპი - 1, ქარელი - 1;



სამცხე-ჯავახეთი - 2 ფაქტი, კერძოდ: ვალე - 1, ადიგენი - 1;

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა - 2 ფაქტი;

დაუდგენელია 1 ფაქტის ადგილი.

2.2.დანაშაულის ჩადენის დრო

სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ **დანაშაულის ჩადენიდან (ან პირველი ფაქტიდან) გამოძიების დაწყებამდე საკმაოდ დიდი დროა გასული,** ხშირად რამდენიმე თვე ან წელიც, რაც თავისთავად ართულებს საქმის ეფექტურ გამოძიებას და ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას.

2015 წელს გამოძიებადაწყებული ფაქტების ყველაზე დიდი რაოდენობა - 88 ფაქტი მომხდარია 2014 წელს; შემდეგაა 2015 წელი - 51 ფაქტი; 2013 წელი -14 ფაქტი; 2012 - 6 ფაქტი; 2011 წელი - 3 ფაქტი; უცნობია დრო -1 ფაქტზე.



დანაშაულის ჩადენის თაობაზე გამოძიების ორგანოებისათვის მეტწილად ცნობილი ხდება მაშინ, როდესაც ბავშვის დაბადების შემდგომ სამშობიარო დაწესებულებიდან დაბადების რეგისტრაციის მიზნით სამედიცინო ცნობა (რომელიც შეიცავს მშობლების დაბადების თარიღებს) ეგზავნება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, მიმართავს სამართალდამცავ ორგანოს. შესაბამისად, ფაქტზე გამოძიება იწყება მას შემდეგ, რაც წყვილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანაცხოვრობს როგორც ოჯახი და ჰყავთ შვილი ან შვილები.

2.3.დანაშაულის მოტივი

სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული **ფაქტების ყველაზე დიდი ნაწილი მომხდარია ოჯახის შექმნის მიზნით ან/და ოჯახური თანაცხოვრებისას.** ასეთია 140 ფაქტი.

მხოლოდ 23 შემთხვევაში ჰქონდა ადგილი 16 წლამდე პირთან სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას შემთხვევითი კავშირის, ნაცნობობის დროს და ა.შ. ანუ ოჯახის შექმნის მიზნის გარეშე.



2.4. კავშირი დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის[3]

შესწავლილი საქმეების დიდ ნაწილში პოტენციურ დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის არის ოჯახური კავშირი, კერძოდ: 140 ფაქტის დროს დაზარალებულია ცოლი, ხოლო ბრალდებული ქმარი.

საქმეთა შესწავლამ აჩვენა, რომ გამოძიების დაწყების დროისათვის აღნიშნული 140 ფაქტიდან ერთობლივი თანაცხოვრების შედეგად შვილი/შვილები უკვე ჰყავდა 124 წყვილს.

მხოლოდ 23 ფაქტია მომხდარი არა ცოლ-ქმარს შორის, ოჯახის შექმნის მიზნის გარეშე. კერძოდ: ნაცნობები - 7 ფაქტი; მეგობრები - 5 ფაქტი; დაზარალებული მოსწავლე და ბრალდებული მასწავლებელი - 3 ფაქტი[4]; შეყვარებულები - 4 ფაქტი; უცნობები - 2 ფაქტი; მეზობლები - 1 ფაქტი; დაზარალებული ბავშვთა სახლის აღსაზრდელი და ბრალდებული აღმზრდელი - 1 ფაქტი[5].

ამ უკანასკნელი 23 ფაქტის შესახებ შეტყობინების ავტორი არცერთ შემთხვევაში არ ყოფილა დაზარალებული. უმეტეს შემთხვევებში შეტყობინების ავტორები არიან ოჯახის წევრები.

[3] პოტენციური დაზარალებულები და ბრალდებულები. არ შედის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არსებობით შეწყვეტილი საქმეები.
[4] იხილება სასამართლოში.
[5] მიმდინარეობს გამოძიება.



2.5. სქესობრივი კავშირის ფორმა

სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული გამოიხატება სქესობრივი კავშირის, მამათმავლობის, ლესბოსელობის ან გაუკუღმართებული ფორმით სხვაგვარი სექსუალური კონტაქტის დამყარებაში 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირთან.

ანალიზით გამოიკვეთა, რომ 163 ფაქტიდან 156 შემთხვევაში ადგილი აქვს სქესობრივი კავშირს; 1 შემთხვევაში - გაუკუღმართებული ფორმით სექსუალურ კონტაქტს; 5 შემთხვევაა მამათმავლობის და 1 - ლესბოსელობის (მეგობრებს შორის).



2.6. წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწევლობა

სსკ-ის 140-ე მუხლის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია სრულწლოვნის მიერ დაზარალებულის 16 წლის ასაკს მიუღწევლობის წინასწარი შეცნობა.

ამ კუთხით აღსანიშნავია, რომ საქმეთა უდიდეს ნაწილზე - 151 საქმეზე (153 ფაქტზე) დასტურდება პოტენციური ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულის 16 წლის ასაკს მიუღწევლობის წინასწარი შეცნობის ფაქტი.

ასეთი ფაქტი მოპოვებული მტკიცებულებებით არ დასტურდება - 6 საქმეზე, რომელთა შესწავლის დროისათვის შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ არის მიღებული; ხოლო, საქმეთა შესწავლის დროისათვის 4 სისხლის სამართლის საქმეზე არ იყო გამოკვეთილი 16 წლის ასაკს მიუღწევლობის წინასწარი შეცნობის ფაქტი.



სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის საფუძვლით შეწყვეტილი 28 საქმიდან 11 საქმეზე გამოძიება შეწყდა სწორედ ზემოაღნიშნული გარემოების - ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულის 16 წლის ასაკს მიუღწევლობის წინასწარი შეცნობის ფაქტის დაუდასტურებლობის გამო.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული 11 საქმიდან ვერ დადასტურდა 16 წლის ასაკს მიუღწევლობის წინასწარი შეცნობა ისეთ 7 საქმეზე, სადაც სქესობრივ კავშირს ადგილი ჰქონდა ოჯახური თანაცხოვრებისას.

3.დაზარალებულები [6]

შესწავლილ 161 საქმეზე პოტენციური დაზარალებულია 163 პირი, საიდანაც პროკურორის დადგენილებით დაზარალებულად ცნობილია 122 პირი.

აღნიშნული მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ **პროკურორთა მიერ ძირითადად დროულად ხდება ძალადობის მსხვერპლთათვის შესაბამისი საპროცესო სტატუსის მინიჭება,** რაც მათ აძლევთ იმ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას, რომლებიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული.

[6] დაზარალებულთა რიცხვში ანალიზის მიზნებისათვის შედის პოტენციური დაზარალებული ყველა საქმიდან, გარდა დანაშაულის არარსებობით შეწყვეტილი საქმეებისა.



3.1.დაზარალებულთა სქესი

163 დაზარალებულიდან მხოლოდ 5 პირია მამრობითი სქესის, ხოლო 158 მდედრობითია. აღნიშნული 5 მამრობითი სქესის პირი დაზარალებულია მამათმავლობის შემთხვევაზე.

შესაბამისად, არცერთი დაზარალებული არ არის მამრობითი სქესის სსკ-ის 140-ე მუხლის ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ფაქტი ხდება ოჯახის შექმნის მიზნით ან/და ოჯახური თანაცხოვრებისას.



3.2. დაზარალებულთა ასაკი

ანალიზით შესწავლილი იქნა სქესობრივი კონტაქტის დროს პოტენციურ დაზარალებულ პირთა ასაკი. 85 შემთხვევაში სრულწლოვნის სექსუალურ კავშირს ადგილი ჰქონდა 15 წლის პირთან; 14 წლის პირთან - 53 შემთხვევაში; 13 წლის - 15 შემთხვევაში; 12 წლის - 6 შემთხვევაში და 11 წლის - 3 შემთხვევაში.
შესწავლილი იქნა ასევე ერთ ფაქტი, სადაც პოტენციური დაზარალებული 16 წლის ასაკს მიღწეული იყო, თუმცა, საქმეზე არ იყო მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაადრევი ქორწინების ფაქტებს ძირითადად ადგილი აქვს 14-15 წლის ასაკის დაზარალებულებთან.



3.3. დაზარალებულთა ეროვნება

163 დაზარალებულიდან უმეტესობა ქართველი ეროვნებისაა - 106 დაზარალებული; აზერბაიჯანელი - 55; სომეხი - 1; რუსი - 1.

მოცემულობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითქმის ყოველი მესამე ფაქტის დაზარალებული ხდება აზერბაიჯანელი ეროვნების პირი.



3.4. დაზარალებულთა პოზიცია

დაზარალებულთა უმრავლესობას - 129 დაზარალებულს არ აქვს პრეტენზია ბრალდებულის მიმართ; პრეტენზია აქვს მხოლოდ 5 დაზარალებულს; ხოლო, უცნობია 29 დაზარალებულის პოზიცია პირის ბრალდებასთან ან სხვა პროცესუალურ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით. შესაბამისად, აღნიშნული 29 შემთხვევიდან ნაწილ საქმეებში დაზარალებულის დაკითხვა არასრულყოფილია და მისი პოზიციის გარკვევა შეუძლებელია ან ზოგ შემთხვევაში საქმის შესწავლის დროისათვის დაზარალებული არ იყო საქმეზე დაკითხული.



4. ბრალდებულები

აღნიშნულ კატეგორიაში შედის ყველა ის პირი, რომელიც იმხილებოდა დანაშაულის ჩადენაში (მიუხედავად იმისა, გამოტანილი იყო თუ არა ბრალდების დადგენილება) ან არ დადასტურდა დანაშაულის ჩადენა, თუმცა საქმეზე მისაღებია შემაჯამებელი გადაწყვეტილება. ასეთია 161 პირი 161 საქმეზე.

4.1. ბრალდებულთა სქესი

შესწავლილ ფაქტებზე 160 პოტენციური ბრალდებული პირი იყო მამრობითი სქესის, ხოლო მხოლოდ 1 პოტენციური ბრალდებული პირი იყო მდედრობითი სქესის (ლესბოსელობის შემთხვევა).



4.2. ბრალდებულთა ასაკი

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ შესწავლილი ფაქტების ყველაზე დიდი ნაწილი ჩადენილია 18-დან 25 წლამდე პირთა მიერ.

ბრალდებულთა ასაკობრივი კატეგორიები შემდეგია:

18 წლამდე პირი - 2 შემთხვევაში, რომლებიც არ არიან შესაბამისად დანაშაულის სუბიექტები. (აღნიშნულიდან 1 საქმეზე მისაღებია შემაჯამებელი გადაწყვეტილება, ხოლო ერთ საქმეზე შეწყვეტილია გამოძიება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით - პირს არ მიუღწევია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისათვის. აქვს აღსანიშნავია, რომ დანაშაულის არარსებობით შეწყვეტილი 28 საქმიდან 8 საქმე შეწყვეტილია სავარაუდო ბრალდებულის არასრულწლოვნობის გამო);

18-დან 25 წლამდე - 111 პირი; 25-დან 35 წლამდე - 42 პირი; 35-დან 45 წლამდე - 1 პირი; 45-დან 55 წლამდე - არცერთი და 55 წლიდან ზემოთ - 3 პირი.

შესწავლის დროისათვის გაურკვეველი იყო 2 პოტენციური ბრალდებულის ასაკი.



4.3. ბრალდებულთა ეროვნება

161 პოტენციური ბრალდებულიდან უმეტესობა ქართველი ეროვნებისაა - 103 პირი; აზერბაიჯანელი - 57; ასირიელი - 1.

მოცემულობიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თითქმის ყოველ მესამე ფაქტზე პოტენციური ბრალდებულია აზერბაიჯანელი ეროვნების პირი.



4.4. ბრალდებულთა განათლება

ბრალდებულების დიდი ნაწილი - 110 პირი - საშუალო განათლების მქონეა; არასრული საშუალო განათლების მქონეა - 34 პირი; 7 პირია უმაღლესი განათლებით; არასრული უმაღლესი - 4 პირი; ტექნიკური განათლებით - 1 პირი; ხოლო, 5 პირის განათლება უცნობია.



4.5. ბრალდებულთა დასაქმება

ყველაზე დიდი ნაწილი ბრალდებულებში **უმუშევარია** - ასეთია 108 პირი; კერძო სექტორშია დასაქმებული 29 ბრალდებული; საჯარო სექტორში - 3; სტუდენტია 2; უცნობია 19 პირის საქმიანობა.



4.6. ბრალდებულთა ოჯახური მდგომარეობა

21 პოტენციური ბრალდებულიდან (23 ფაქტზე), რომელთაც დანაშაულის ჩადენის დროს არ ჰქონიათ ოჯახის შექმნის მიზანი, ფაქტის დროს 5 პირი იყო დაოჯახებული; დასაოჯახებელი იყო 14; განქორწინებული - 1; ხოლო, 1 პირის ოჯახური მდგომარეობა არ ირკვევა საქმეებიდან.



4.7. ბრალდებულთა ნასამართლობა

161 პოტენციური ბრალდებულიდან ნასამართლევია 8 ბრალდებული, ნასამართლობაგაქარწყლებულია 2 პირი; შეწყალებული - 1; ნასამართლობის არმქონეა - 128; ხოლო, უცნობია 22 პირის ნასამართლობა.



ნასამართლევ პირთაგან: თითო პირი ნასამართლევია 19,108-ე, 108-ე, 120-ე და 180-ე მუხლებით; 177-ე მუხლით - 3 პირი; ხოლო, ერთი პირი ნასამართლევია - 140-ე, 236-ე, 260-ე, 273-ე მუხლებით.

აღსანიშნავია, რომ წარსულში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, კერძოდ სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის გასამართლებული იყო მხოლოდ ერთი პირი, რომელიც ამ ეტაპზე ბრალდებულია გაუკუღმართებული ფორმით სექსუალური კონტაქტისათვის მამრობითი სქესის დაზარალებულთან.

4.8. ბრალდებულად ცნობა

161 პოტენციური ბრალდებული პირიდან, **სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით დევნა დაწყებულია 113 პირის მიმართ,** მათ შორის ოჯახური დანაშაულის ფაქტზე, სსკ-ის 11[1], 140-ე მუხლით - 55 პირის მიმართ.



აღნიშნული 113 პირიდან დანაშაულთა ერთობლიობითაა დაწყებული დევნა 5 პირის მიმართ, კერძოდ: 1 პირის მიმართ - 140-ე მუხლის სამი ეპიზოდი; 1 პირის მიმართ - 11[1],140-ე და 11[1],126[1]-ე მუხლებით; 1 პირის მიმართ - 140-ე და 125-ე მუხლებით; 1 პირის მიმართ - 140-ე და 141-ე მუხლებით და 1 პირის მიმართ - 140-ე და 108-ე მუხლებით.

4.9. აღკვეთის ღონისძიებები

ბრალდებულების მიმართ ყველაზე ხშირ შემთხვევაში პირველი წარდგენის სხდომაზევე ფორმდება საპროცესო შეთანხმება - ასეთია 52 შემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ **12 პირს სასამართლომ არ შეუფარდა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე.**

ყველაზე ხშირად გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებაა გირაო; კერძოდ, აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება გამოყენებულია 33 პირის მიმართ; შემდეგ მოდის პატიმრობა - 10 პირის მიმართ (აღსანიშნავია, რომ აქედან 4 შემთხვევაში სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა, 1-ში 140-ე მუხლის სამი ეპიზოდი, 1 შემთხვევაში - 11 პრიმა 140-ე მუხლითაა პირი ბრალდებული, თუმცა, დაუსწრებლად წარედგინა ბრალი და პატიმრობაც ამიტომ აქვს შეფარდებული, სსკ-ის 140-ე მუხლით დევნადაწყებული დანარჩენი 4 ფაქტიდან 3 ფაქტი არ არის ჩადენილი ოჯახურ თანაცხოვრების ან/და ოჯახის შექმნის მიზნით, ხოლო ერთი მართალია ჩადენილია ოჯახური თანაცხოვრებისას, თუმცა დევნის დაწყების მომენტისთვის ცოლ-ქმარი ერთად აღარ ცხოვრობდა).

არ ყოფილა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება - 6 პირის მიმართ.



4.10. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება

161 პოტენციური ბრალდებულიდან დევნა დაიწყო 113 ბრალდებულის მიმართ, საიდანაც სასამართლოში წარმართული იქნა საქმე 99 ბრალდებულის მიმართ.

99 პირიდან: გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 81 პირის მიმართ, საიდანაც საპროცესო გაფორმდა 80 პირის მიმართ; ხოლო, საქმე არსებითად დასრულდა 1 პირის მიმართ; სსკ-ის 140-ე მუხლზე გამამართლებელი განაჩენი დადგა 1 პირის მიმართ (გასაჩივრებულია სააპელაციო წესით); 17 პირის მიმართ საქმე განხილვის ეტაპზეა.

დანარჩენი 14 ბრალდებულის მიმართ საქმეები, შესწავლის დროისათვის იყო გამოძიების ეტაპზე ან გამოძიების ეტაპზე მიღებული იყო სხვა შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება



4.11. სასჯელები

სასჯელები არსებითი განხილვისას:

რეალური სასჯელი შეფარდებულია მხოლოდ 1 პირის მიმართ, არსებითად დასრულებულ საქმეზე - თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. აღნიშნულ საქმეზე ბრალდებული და დაზარალებული წარმოადგენენ მეზობლებს და ბრალდებული დანაშაულის ჩადენის დროს იყო 58 წლის, ხოლო დაზარალებული -12 წლის.

სასჯელები საპროცესო შეთანხმებით:

საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეებზე სულ **80** პირის მიმართ შეფარდებული სასჯელები ნაწილდება შემდეგნაირად:

პირობითი მსჯავრი - 40; პირობითი და ჯარიმა - 21; პირობითი და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 16; ჯარიმა - 2; თავისუფლების აღკვეთა და პირობითი მსჯავრი - 1.



როგორც წარმოდგენილი გრაფიკიდან ირკვევა, თავისუფლების აღკვეთა, პირობით სასჯელთან ერთად, საპროცესო შეთანხმებით მხოლოდ ერთ შემთხვევაშია გამოყენებული[7], ყველა სხვა შემთხვევაში გამოყენებულია იმგვარი სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

5. გამოძიების შეწყვეტა

გამოძიებადაწყებული **სისხლის სამართლის 189 საქმიდან გამოძიება შეწყდა 32 საქმეზე.**

საქმეთა დიდ ნაწილზე, კერძოდ 28 საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის საფუძვლით.

გამოძიების შეწყვეტის საფუძვლების მიხედვით მაჩვენებლები შემდეგია: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით[8] (არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება) გამოძიება შეწყდა 28 სისხლის სამართლის საქმეზე; სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ი" ქვეპუნქტით (პროკურორმა უარი თქვა ბრალდებაზე) – 2 საქმეზე; სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტით (პირს არ მიუღწევია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისათვის) - 1 საქმეზე; სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტით (ბრალდებულის გარდაცვალების გამო) - 1 საქმეზე.

[7] ეხება შემთხვევას, როდესაც ფაქტი ჩადენილია ოჯახური თანაცხოვრებისას, თუმცა დევნის დაწყების მომენტისთვის ცოლ-ქმარი ერთად აღარ ცხოვრობდა. იხ.გვ 26.

[8] მეტწილად ეხება ფაქტებს, როდესაც არ დადასტურდა წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწევლობა; ასევე, ფაქტებს, როდესაც პოტენციური ბრალდებული არასრულწლოვანი იყო.

161 პოტენციური ბრალდებულიდან დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით შეწყდა დევნა მხოლოდ ერთი პირის მიმართ (წარდგენილი ჰქონდა ბრალდება 11[1],140-ე მუხლით და აღკვეთის ღონისძიების სახით შერჩეული ჰქონდა გირაო).

32 საქმე



დასკვნა

2015 წლის პირველ ნახევარში სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შესახებ შედარებით იშვიათად ხდებოდა ცნობილი სამართალდამცავი ორგანოებისათვის, ამიტომ დანაშაული ძირითადად ლატენტურ ხასიათს ატარებდა. დანაშაულის გამოვლენის მაჩვენებლის ზრდა 2015 წლის მეორე ნახევარში შეინიშნება, თუმცა აღნიშნულის მიზეზია არა დაზარალებულთა/მსხვერპლთა მომართვიანობის, არამედ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან შემოსული შეტყობინებების რაოდენობის ზრდა. მოსახლეობაში სამართლებრივი ცნობიერების და აღნიშნული დანაშაულის შესახებ ინფორმაციის არარსებობით გამოწვეული პრობლემა, კვლავ პრობლემად რჩება.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დანაშაულის ჩადენის თაობაზე საგამოძიებო ორგანოებისთვის მეტწილად ცნობილი ხდება ბავშვის დაბადების შემდგომ, როდესაც სამშობიარო დაწესებულებიდან დაბადების რეგისტრაციის მიზნით სამედიცინო ცნობა (რომელიც შეიცავს მშობლების დაბადების თარიღებს) ეგზავნება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, მიმართავს სამართალდამცავ ორგანოს. შესაბამისად, ფაქტზე გამოძიება იწყება მას შემდეგ, რაც **წყვილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანაცხოვრობს როგორც ოჯახი და ჰყავთ შვილი ან შვილები.** გამოძიების მიმდინარეობისას, როგორც წესი, „დაზარალებული“ აქცენტს აკეთებს ქმედების ნებაყოფლობითობაზე, აქვს ოჯახისთვის მატერიალური ტვირთის დაკისრების შიში და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების წინააღმდეგია. ამგვარ შემთხვევებზე სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი რეაგირება (თუნდაც ნაკლებად მკაცრი) დაზარალებულსა და პოტენციურ ბრალდებულში, ზოგჯერ საზოგადოების წევრებშიც, იწვევს უარყოფით განცდებს, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ აყალიბებს მცდარ შეხედულებებს, სახელმწიფოს და მისი სახელით მოქმედ პროკურატურას წარმოაჩენს ერთგვარ „მონსტრად“, რომელიც ანგრევს ოჯახს. მითითებული მიზეზების გამო, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, უკანა პლანზე იწევს საჯარო ინტერესი, დევნა დაიწყოს იმ პირის მიმართ, რომელმაც 16 წლამდე პირთან დაამყარა სქესობრივი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით ან ოჯახური თანაცხოვრებისას.

არასათანადო ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიის ნაკლებობის პირობებში, საზოგადოებას უჭირს იმის აღქმა, თუ რატომ არის ქმედება დანაშაული, მითუმეტეს, როცა მას ოჯახის ერთი წევრი მეორის მიმართ ნებაყოფლობით სჩადის, ან პარტნიორები ოჯახის შექმნის მიზნით და ოჯახური თანაცხოვრებისას სჩადიან. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ სოციუმში (მაგალითად აზერბაიჯანელი ეროვნების საზოგადოებაში), სადაც ნაადრევ ასაკში ქორწინება ტრადიციას წარმოადგენს და წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარეობს. ანალიზის თანახმად, თითქმის ყოველი მესამე ფაქტი აზერბაიჯანელი ეროვნების პირებს შორის.

სწორი სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბებას კიდევ უფრო უშლის ხელს დანაშაულისთვის გათვალისწინებული მკაცრი სანქცია (7-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა), რაც გამორიცხავს პირობითი მსჯავრის ან ნაკლებად მკაცრი სასჯელის გამოყენების შესაძლებლობას საპროცესო შეთანხმების გარეშე. კანონი საერთო ჭრილში განიხილავს ოჯახის შექმნის მიზნით ან ოჯახური თანაცხოვრებისას 16 წლამდე პირებთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, ანუ ნაადრევი ქორწინების შემთხვევებს და ოჯახის შექმნის მიზნის გარეშე 16 წლამდე პირთან სქესობრივი კავშირის დამყარების შემთხვევებს და შესაბამისად, არ იძლევა ქმედების ხასიათისა და სიმძიმის მიხედვით სასჯელის დიფერენცირების შესაძლებლობას.

საჭიროებები

2015 წლის განმავლობაში სსკ-ის 140-ე მუხლით გამოძიებადაწყებული საქმეების ანალიზის საფუძველზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ:

- აუცილებელია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება, საწყის ეტაპზე იმ რეგიონებში, სადაც პრობლემა აქტუალურია;

- აუცილებელია არსებული კანონმდებლობის გადახედვა, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული ქმედებების ერთმანეთისგან გამიჯვნა და ახალი ქმედებების კრიმინალიზაცია - ამ მიმართულებით მიზანშეწონილია, შესწავლილი იქნეს საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკა;

- საჭიროა ერთიანი სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავება სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ - დანაშაულის პრევენციისთვის საკმარისი ვერ იქნება მხოლოდ სისხლის სამართლის პოლიტიკის გამკაცრება, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების გარეშე. დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ ხისტი და ცალსახად მკაცრი მიდგომა, შესაძლოა უარყოფითი შედეგის მომტანიც აღმოჩნდეს. საჭიროა პირველ რიგში ქმედების დიფერენცირება მოტივის, სუბიექტების და დანაშაულის ჩადენიდან მის გამოვლენამდე გასული დროის მიხედვით და შესაბამისი სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავება დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ;

- საჭიროა შემუშავდეს რეკომენდაცია სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა გამოძიებისას ჩასატარებელი აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების შესახებ.